

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ**

**2012 წლის 17 აპრილს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

**• შტაინინგერი ავსტრიის წინააღმდეგ – განაცხადი №21539**

აპლიკანტი კომპანია – „ფრანც შტაინინგერი“ არის ძროხისა და ღორის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, რომელიც დაფუძნებულია ერნსტბრინში (ავსტრია). 2006 წლის მაისში მას დაევადა, რომ დაეფარა გადაუხდეელი თანხა სოფლის მეურნეობის ბაზრის ხარჯების გამო, რასაც დაემატა დამატებითი მოსაკრებელიც. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით აპლიკანტი კომპანია ჩივის, რომ არ ჩატარებულა სასამართლო დამატებითი მოსაკრებელის გადახდასთან დაკავშირებით.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 3.679.44 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

**• რიზენოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №31805**

აპლიკანტი აზერბაიჯანის მოქალაქეა, დაიბადა 1966 წელს გაბალაში (აზერბაიჯანი) და ცხოვრობს გერმანიაში. იგი ყოფილი ჟურნალისტი და ჩივის, რომ 2005 წლის ნოემბერში პოლიციის ოფიცერმა სცემა „ღუბინით“ ბაქოში მიმდინარე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის დემონსტრაციის გაშუქებისას. განმცხადებელი ასევე აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტზე წარმოებული გამოძიება არაეფექტური იყო. იგი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 3.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

**• სარკისოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №37981/06**

აპლიკანტები ბულგარეთის მოქალაქეები არიან. საქმე ეხება მათ განაცხადს იმის თაობაზე, რომ მათ მიმართ 2006 წლის მარტში წაყენებული ბრალდება, სექსუალური ხასიათის დანაშაულში მონაწილეობის თაობაზე, მნიშვნელოვნად ეყრდნობოდა სამ ანონიმურ მოწმეს, კერძოდ კი იმ ქალებს, რომლებიც მათ სავარაუდოდ ჩააბეს პროსტიტუციაში. ამას გარდა განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი დაცვის უფლებები დაუშვებლად შეზღუდული იყო. ისინი მიუთითებენ კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევაზე, ასევე კონვენციის მე-4 ოქმის II მუხლის დარღვევაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, ხოლო კონვენციის მე-4 ოქმის II მუხლი მიიჩნია დარღვეულად.*

**• მელისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №30604**

აპლიკანტი აშშ-ს მოქალაქეა, ეროვნებით ბერძენი, დაიბადა 1929 წელს და ცხოვრობს ნიუ-იორკში. კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით იგი ჩივის, რომ მისი განცხადება სამოქალაქო საქმისწარმოების განახლების თაობაზე, რომელიც მისი აზრით ყალბი მტკიცებულების საფუძველზე გაუქმდა (ამის გამო, მოწმემ, რომელმაც ეს მტკიცებულება წარადგინა, ბრალდებულად სცნეს), როგორც ხანდაზმული. 2010 წლის 22 ივლისს სასამართლომ არსებითი განხილვების დასრულების შემდეგ გამოიტანა განჩინება, სადაც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა. დღევანდელი განჩინება ეხება სამართლიან დაკმაყოფილებას.

*სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 25.000 ევროს გადახდა მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.*

**• კულევი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №60179/09**

აპლიკანტი ვასილი კულევი მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ამჟამად 7-წლიან სასჯელს იხდის კიშინიოვის ციხეში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის, მათ შორის გაყალბების, მარიხუანას შენახვისა და უხელოვანი ვალუტის უკანონო გაყიდვის გამო. განმცხადებელი ჩივის, რომ იგი არაადამიანურ პირობებში იმყოფება ციხეში, რითაც მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. ამას გარდა, განმცხადებელი ჩივის კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევის თაობაზე, კერძოდ, ადგილობრივმა სასამართლომ, განაჩენის ვადის დადგენისას, არ გაითვალისწინა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.500 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 300 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.*

**• ტომიჩი და სხვები მონტენეგროს წინააღმდეგ – განაცხადი №18650/09**

აპლიკანტები მონტენეგროს მოქალაქეები არიან. ისინი მუშაობდნენ პოდგორიცას ალუმინის ქარხანაში. განმცხადებლები სამუშაოს შესრულებისათვის ნაწილობრივ გამოუსადეგრად სცნეს საწარმოო ავადმყოფობის გამო, საიდანაც გაათავისუფლეს 2005 წლის ნოემბერში. საქმე ეხება ადგილობრივი სასამართლოების უარს მათ სარჩელებზე, რომლებშიც განმცხადებლები ითხოვდნენ, დადგენილიყო განსხვავება მათი ინვალიდობის პენსიასა და იმ ხელფასს შორის, რომელსაც ისინი მიიღებდნენ, თუკი არ შეამცირებდნენ. განმცხადებლები ჩივიან, რომ სარჩელები არ მიიღეს სასამართლოებმა განსახილველად, მაშინ როცა ზოგიერთი მათი კოლეგის სარჩელი მიიღეს წარმოებაში.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.*

- **მამელკა პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №16761/07**

აპლიკანტი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს ლოდში. იგი გაასამართლეს უკანონოდ ორგანიზებული შეიარაღებული ბანდის წევრობის გამო. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ პატიმრობიდან გასათავისუფლებლად 7 დღე გახდა საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის თებერვალში სასამართლოს გადაწყვეტილებით მას მიესაჯა პირობითი მსჯავრი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 2.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანი ასანაზღაურებლად.*

- **ფაფროვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №43609/07**

აპლიკანტი პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1971 წელს და ცხოვრობს პოლონეთში. კონვენციის მე-6 მუხლის I და III ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მის წინააღმდეგ ნარკოტიკების გაყიდვის ბრალდების გამო წარმოებული სისხლის სამართლის საქმე იყო არასამართლიანი. კერძოდ, მას ამიეცა შესაძლებლობა ჯვარედინ დაკითხვაში მიეღო მონაწილეობა მათავარ მოწმესთან, რომელიც არასრულწლოვანი იყო და რომლის ჩვენებამაც განაპირობა მისი ბრალეულად ცნობა 2006 წლის ნოემბერში.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ამავე მუხლის III ნაწილის „დ“ ქვეპუნქტან მიმართებაში.*

- **პასკალი რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №805/09**

აპლიკანტი დევიდ პასკალი საფრანგეთის მოქალაქეა, დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს რუმინეთში. საქმე ეხება მის განაცხადს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებების აღუსრულებლობას, რომლებითაც მას მიენიჭა თავისი 8 წლის გოგონას ნახვის უფლება ბავშვის დედასთან განქორწინების შემდეგ 2007 წელს. განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.*

- **კატალი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №26808/08**

აპლიკანტი თურქეთის მოქალაქეა, დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს თურქეთში. 1997 წლის მარტში იგი დააკავეს, როგორც უკანონო დაჯგუფების წევრობასა და ბანკზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი. განმცხადებელი დააპატიმრეს და მოგვიანებით ბრალდებულად სცნეს კონსტიტუციური წყობის ძალადობრივი გზით დამხობის მცდელობაში. განმცხადებელი ჩივის, რომ წინასწარი პატიმრობა ძალიან ხანგრძლივი

იყო, მისი თხოვნები გათავისუფლებაზე უარყოფილი იყო უმნიშვნელო ფორმალური საუბრით, ასევე, მან ვერ შეძლო ეფექტურად გაესაჩივრებინა მისი ხანგრძლივი პატიმრობა და მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა ძალიან ხანგრძლივად მიმდინარეობდა.

*სასამართლომ დაადგინა, რომ: დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო; არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენების არარსებობის გამო აპლიკანტის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გასაჩივრებასთან დაკავშირებით; დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი აპლიკანტისა და მისი ადვოკატისათვის პროკურორის მოსაზრების გაუცნობლობის გამო; დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი სისხლის სამართლის საქმის ხანგრძლივად განხილვის გამო; დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.*

განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

## ანალოგი საქმეები

- **იომურუ და კრეტუ მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ – განაცხადი №28430/06**

განმცხადებლები მოლდოვას მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ კიშინიოვში. მათ განაცხადეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მოთხოვნისას, რომელიც მათ სასარგებლოდ იქნა გამოცხადებული სააპელაციო სასამართლოსა და უზენაეს სასამართლოში ეწინააღმდეგებოდა სამართლებრივი უტყუარობის პრინციპებს და არღვევდა მათ საკუთრების უფლებას. განმცხადებლების აზრით მათ, მიმართ დარღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და I დამატებითი ოქმის I მუხლი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და I დამატებითი ოქმის I მუხლი.*

- **ინოტლევესკი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №22668/09**
- **კედრა პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №57944/08**
- **კორგული პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №35916**
- **ტომსეიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 34164/05**

ზემოსხენებულ საქმეებში განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ წაერთვათ უფლება, მიემართათ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოსათვის საკასაციო საჩივრით. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეზე – კორგული პოლონეთის წინააღმდეგ – დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო დანარჩენ საქმეებზე მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლი არ დარღვეულა.*

- **სიმონოვი პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45255/07**

აპლიკანტი ეჭვმიტანილად სცნეს თაღლითობასა და მკვლელობის მოწოდებისკენ დანაშაულის ჩადენაში. მას მისაჯვა წინასწარი პატიმრობა, რომელიც მისი აზრით ძალიან ხანგრძლივია. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.

*სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი.*

- **ჰერმენზიუ რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №13859/03**

აპლიკანტი დაიბადა 1969 წელს და ცხოვრობს რუმინეთში. იგი დააპატიმრა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულმა პროკურატურამ და მოათავსა საპატიმროში სხვადასხვა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის გამო. მისი პატიმრობა ყოველ მესამე დღეს გრძელდებოდა ხოლმე. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით ქალბატონი ჰერმენზიუ მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევებში პატიმრობის ვადის გაგრძელება მოკლებული იყო ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს. კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილზე დაყრდნობით, განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ საჩივარი, რომელიც მან შეიტანა ერთ-ერთი გადაწყვეტილების გამო, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცხადდა დაუშვებლად.

*სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი.*

### **გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე**

- **ბარტოფერი აესტრიის წინააღმდეგ – განაცხადი №41113/08**
- **ბახასი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54703/09**
- **ზანი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45481/09**

*სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოდგენილ საქმეებზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ადვილობრივი სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეების გაჭიანურებით განხილვის გამო.*

- **ჰაციონიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №51906/09**
- **ლაიმოსი და კალაფატისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45658/09**
- **ლამბადარისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №47112/09**
- **მიტრელისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №45602/09**
- **პეტრიდუ-ლატაკალიდუ საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №3463/09**

*სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოდგენილ საქმეებზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ადვილობრივი სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურებით განხილვის გამო.*